№2610 2014 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი ჯვარი-მესტია - ლასდილის საავტომობილო გზის 102-ე კმ-ზე სოფ. ლახამულას მიმდებარედ სტიქიური მოვლენების შედეგების დროებითი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 14 ნოემბრის №1557 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის შესაბამისად, „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 102-ე კმ-ზე სოფ. ლახამულას მიმდებარედ სტიქიური მოვლენების შედეგების დროებითი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 14 ნოემბრის №1557 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 102-ე კმ-ზე, სოფ. ლახამულას მიმდებარედ,

სტიქიური მოვლენების შედეგების დროებითი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (შემდგომში - საქართველოს სავტომობილო გზების დეპარტამენტი) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 102-ე კმ-ზე, სოფ. ლახამულას მიმდებარედ, საავტომობილო გზის განვლადობისა და მასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, 2013-2015 წლებში:

ა) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე–3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით უზრუნველყოს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 102–ე კმ-ზე, სოფ. ლახამულას მიმდებარედ, სტიქიური მოვლენების შედეგების დროებითი პრევენციული ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი სამუშაოების განხორციელება;

ბ) ამ განკარგულებით გათვალისწინებული სტიქიური მოვლენების შედეგების დროებითი პრევენციული ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი სამუშაოები განახორციელოს პროექტირების პარალელურ რეჟიმში, ეტაპობრივად შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.“;

გ) მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ამ განკარგულებით გათვალისწინებული სტიქიური მოვლენების შედეგების დროებითი პრევენციული ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი სამუშაოების დაფინანსება 2013 - 2015 წლებში განახორციელოს შესაბამისი წლების ბიუჯეტების კანონებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის „გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის“ პროგრამით (პროგრამული კოდი – 25 02 02) განსაზღვრული ასიგნებებიდან.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**